უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში

2022
წლის ანგარიში

TDI
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში

2022

წლის ანგარიში

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადდა **ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI)** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელების **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

TDI
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიშზე მუშაობდნენ:

საბა სუთიძე, საბა ელიზბარაშვილი, მანუჩარ ცეცხლაძე, ეკა ჭითანავა, მარიამ ღავთაძე

პროექტის ხელმძღვანელი:

მარიამ ღავთაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ყდა:

SHUTTERSTOCK

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2023, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

შესავალი 7

მეთოდოლოგია 8

ძირითადი მიგნებები 9

1. სახელმწიფო საზღვრის კვეთის პოლიტიკა 12
   1.1. სტატისტიკური ინფორმაცია 12
   1.2. საზღვრის კვეთის დაბრკოლებები უკრაინელი საჯარო პირებისთვის 15
   1.3. რუსი ჟურნალისტების, უფლებადამცველებისა და პოლიტიკოსების მიერ 16
   საქართველოს საზღვრის კვეთა 16
   1.4. ჩრდილოკავკასიელების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთა 18
   1.5. ხელისუფლების განმარტება უცხო ქვეყნის მოქალაქეების
   საქართველოში არშემოშვებასთან დაკავშირებით 19

2. საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების საკითხი 22

3. ელექტრონული ვიზების გაცემის პრობლემა 27

4. თავშესაფრის მაძიებლები 29

5. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოში ჩამოსული
   უკრაინელების მდგომარეობა 30
   5.1. სტატისტიკური ინფორმაცია 30
   5.2. ფინანსური სირთულეები, დასაქმება და ყოველდღიური საჭიროებები 31
   5.3. საცხოვრებელი პირობები 32
   5.4. ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა 32
   5.5. ბავშვებისა და ქალების სპეციფიკური საჭიროებები 33

6. რასობრივი დისკრიმინაცია 34
   6.1. რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა 34
   6.2. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე 35
   6.3. რასობრივი დისკრიმინაციის სხვა შემთხვევები 36
   საცხოვრებლის პოვნის სირთულეები 36
   სტერეოტიპული განწყობები 37

რეკომენდაციები 38

შესავალი

2022 წელს საქართველოში უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული სრულ-მასშტაბიანი ომია, რამაც ამ ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი რუსეთის ფედერაციიდან, საქარ-თველოს მიმართულებით მიგრანტების ნაკადის ზრდა გამოიწვია. ამ კონტექსტში საინტერე-სოა სახელმწიფოს პოლიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შემოშვებისა და მათ მიერ სხვადასხვა სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობის თვალსაზრისით.

პოლიტიკის ეს მიმართულება ასევე საინტერესოა რუსეთის ხელისუფლებისადმი კრიტიკუ-ლად განწყობილ ჟურნალისტებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან, ხელოვანებსა და პოლი-ტიკოსებთან მიმართებითაც, რომელთაგანაც ზოგიერთი რუსეთში „უცხოელ აგენტად“ არის გამოცხადებული; აგრეთვე რუსეთის ჩრდილოკავკასიელ მოქალაქეებთან მიმართებით, გან-საკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ვლადიმირ პუტინმა სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა.

ანგარიში ეხება მიგრანტებისადმი რასობრივი შეუწყნარებლობით მოტივირებული დისკრიმი-ნაციული დამოკიდებულების შემთხვევებსაც. საქართველოში მცხოვრები ადამიანები აფრი-კისა და აზიის ქვეყნებიდან კვლავ საუბრობენ მათდამი განსხვავებულ მოპყრობაზე საჯარო თუ კერძო ურთიერთობებში. კვლავ გამოწვევად რჩება ცალკეული ქვეყნების წარმომადგენ-ლებისათვის ბინადრობის ნებართვის მიცემაზე უარის თქმის დაუსაბუთებელი პრაქტიკა.

რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ წარმოებული სრულმასშტაბიანი ომის ფონზე საქართველო-ში განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკრაინიდან ლტოლვილების უფლებრივი მდგომარე-ობა და საჭიროებები, რაც, ასევე, აღწერილია ანგარიშში. ამავე კონტექსტში აღნიშნულია ომის შედეგების გამო რუსეთიდან ჩამოსული მიგრანტების სამართლებრივი მდგომარეობისა და მათი საქმიანობის ზოგიერთ ასპექტი.

მეთოდოლოგია

ანგარიში მიზნად ისახავს 2022 წლის განმავლობაში საქართველოში უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობასთან, რასიზმსა და ქსენოფობიასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების მიმოხილვასა და ანალიზს. ანგარიშის მომზადების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა კვლევითი ინსტრუმენტი, მათ შორის, კონტენტანალიზის მეთოდი. იგი მოიცავდა როგორც შესაბამისი კანონმდებლობისა და პრაქტიკის, ისე პოლიტიკური დოკუმენტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშების, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზს. ანგარიში აგრეთვე ეყრდნობა TDI-ს მიერ ჩატარებულ ინტერვიუებს. სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა შეფასებულია ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების თვალსაზრისით, მთავარი დაბრკოლება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების გაუმჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა იყო. წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად არის გაუარესებული უწყებების ანგარიშვალდებულება და საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულება. ამ ანგარიშის მიზნებისთვის ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყაროა სათანადო სტატისტიკური მონაცემები ბინადრობის ნებართვის გაცემისა და საქართველოს საზღვრის კვეთის შესახებ, რომლებშიც მოცემული იქნება ინფორმაცია განმცხადებლების მოქალაქეობის, უარის საფუძვლებისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. სამწუხაროდ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, TDI-მ ვერ მიიღო კანონით განსაზღვრული სრულყოფილი ინფორმაცია პასუხისმგებელი საჯარო უწყებებიდან, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ანგარიშის საბოლოო მიგნებები.

ძირითადი მიგნებები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო უწყებების გაუმჭვირვალე პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გაუარესდა საჯარო უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობა. საჯარო უწყებების ამგვარი პრაქტიკა დაბრკოლებებს უქმნის არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებს, რომ მათ სრულად შეაფასონ სახელმწიფო პოლიტიკა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე სახელმწიფოს შერჩევითი და სავარაუდო დისკრიმინაციული პოლიტიკა

ბოლო პერიოდში საქართველოს საზღვრის კვეთის პროცესში სერიოზული დაბრკოლებები ექმნებათ რუსეთის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეებს. 2022 წელს საზღვრის კვეთაზე უარი ეთქვა კრემლისადმი კრიტიკულად განწყობილ ათობით რუს ჟურნალისტს, უფლებადამცველსა და პოლიტიკოსს. ასევე, 2021 წლიდან ხელისუფლება საქართველოში შემოსვლაზე დაბრკოლებებს უქმნიდა უკრაინელ საჯარო პირებს.

2022 წლის თებერვალში უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ გაიზარდა რუსეთის მოქალაქე ჩრდილოკავკასიელების სავარაუდო დისკრიმინაციისა და სხვადასხვა გარეგნული, რელიგიური და კულტურული ატრიბუტის, ასევე, წარმოშობის გამო საქართველოს საზღვრის კვეთაზე უარის მაჩვენებელი.

ბინადრობის ნებართვის გაცემის პრობლემური პოლიტიკა

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბინადრობის ნებართვის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის გამოცხადების პრაქტიკა, რასაც – თითქმის ყველა შემთხვევაში – საფუძვლად უდევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნა.

აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა კვლავ დისკრიმინაციულია და ისინი ხშირად დაუსაბუთებელ უარს იღებენ ბინადრობის ნებართვაზე. მათ შორის არიან უცხოელი სტუდენტებიც, რომლებსაც დაბრკოლება

ექმნებათ სწავლის გაგრძელებაში. ხელისუფლებამ TDI-ს არ მიაწოდა დეტალური სტატისტიკური მონაცემები.

2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 11 აპრილამდე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით წარადგინეს სულ 10,304 განცხადება, რომელთა 32,5% (3,340), სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებზე მითითებით, არ დაკმაყოფილდა, ხოლო ნახევარზე მეტი, 56% (5,759) დაკმაყოფილდა. 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რუსეთის მოქალაქეების მიმართვიანობა 54%-ით, ხოლო დაკმაყოფილების მაჩვენებელი 25%-ით გაიზარდა.

იმავე პერიოდში ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით უკრაინის მოქალაქეებმა წარადგინეს 943 განცხადება, რომელთა 5%, სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებზე მითითებით, არ დაკმაყოფილდა, ხოლო 85% დაკმაყოფილდა.

1925 განცხადება წარადგინეს ბელარუსის მოქალაქეებმა. მათი 28% (543), სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებზე მითითებით, არ დაკმაყოფილდა, ხოლო 61% (1167) დაკმაყოფილდა.

ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლებისთვის ელექტრონული ვიზების გაცემის პრობლემა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ელექტრონული ვიზების გაცემის სერვისი შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს: მისით სარგებლობა საერთოდ არ შეუძლიათ ნიგერიის მოქალაქეებს, რომელთათვისაც ამ სერვისით სარგებლობა უაღრესად მნიშვნელოვანია. ელექტრონული ვიზების გაცემა Covid-19-ის პანდემიის გამო შეჩერებული იყო იმ უცხოელთათვისაც, რომლებსაც, ზოგადად, შეუძლიათ მისით სარგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ სერვისის შეჩერების მიზეზი პანდემია იყო, საგარეო საქმეთა სამინისტრომ მისი მიწოდება 2023 წლის მაისამდე (პანდემიის დასრულებიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში) არ განაახლა ინდოეთის მოქალაქეებისთვის.

თავშესაფრის მაძიებლები

წინა წლებთან შედარებით გაორმაგებულია თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში განხილული საქმეების რაოდენობა და საანგარიშო პერიოდში სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი, ძირითადად, გაზრდილია უკრაინის მოქალაქეებისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებით.

ომის დაწყების შემდეგ ჩამოსული უკრაინელები

სახელმწიფო არ აწარმოებს ზუსტ სტატისტიკას საქართველოში შემოსული, საქართველოდან გასული და ქვეყანაში მყოფი უკრაინელების შესახებ. ასევე, საქართველოს მთავრობას ამ დრომდე არ გააჩნია ერთიანი და ქმედითი სტრატეგია და პოლიტიკა მათ დასახმარებლად.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) 2023 წლის თებერვლის მონაცემებით საქართველოში 25,101 უკრაინელი იმყოფებოდა, ხოლო 2023 წლის 9 მაისის მონაცემებით - 24,182. მათი დიდი ნაწილი მარიუპოლიდან და ხარკივიდანაა, ქალაქებიდან, რომლებიც ომის შედეგად განსაკუთრებით მძიმედ დაზარალდა.

Care Caucasus-ის 2023 წლის კვლევის თანახმად, უკრაინელი ლტოლვილების მთავარი გამოწვევები ფინანსური შემოსავალი და უმუშევრობაა.

რასობრივი დისკრიმინაცია

ეროვნული, ეთნიკური ან/და რასობრივი მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2022 წელს სულ გამოტანილ იქნა 5 გამამტყუნებელი განაჩენი.

სახელმწიფოს მიერ წარმოებული სტატისტიკის მიზნებისათვის, „რასის“ ცნებაში მოაზრებულია: „რასა“, კანის ფერი, ენა, მოქალაქეობა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება, წარმოშობა, რაც გამორიცხავს იმის ზუსტი აღრიცხვის შესაძლებლობას, თუ კონკრეტულად რომელი მოტივით იქნა დანაშაული ჩადენილი.

შსს-მ გამოძიება დაიწყო სულ 56 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც რასობრივი დისკრიმინაციის ნიშანი იკვეთებოდა.

პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო რასობრივი შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 14 ფაქტზე, დაზარალებულად კი ცნეს სულ 18 პირი.

რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების გამო საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულ იქნა 7 პირი (რომელთაგან 5 საქმეზე გამოძიება საანგარიშო პერიოდში დაიწყო).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით, კვლავაც პრობლემად დარჩა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე დანაშაულის კვალიფიცირების საკითხი.

კვლავ პრობლემურია ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ გამოვლენილი რასიზმი საჯარო და კერძო ურთიერთობებში. აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენელი მიგრანტები, გარდა სახელმწიფო სერვისების მიღებისას შექმნილი დაბრკოლებებისა (საზღვარზე შემოშვება, ბინადრობის ნებართვის მიღება), საუბრობენ დისკრიმინაციულ გამოცდილებებზე საჯარო სივრცეებში, ბინის დაქირავებისას შექმნილ წინააღმდეგობებზე, განსხვავებულ მოპყრობაზე კომერციულ ბანკებში და სხვ.

1. სახელმწიფო საზღვრის კვეთის პოლიტიკა

1.1. სტატისტიკური ინფორმაცია

2022 წლის განმავლობაში, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების ფონზე, საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა საქართველოს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ დამუშავებული და გასაჯაროებული სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ არასრულყოფილია. საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით სრულფასოვანი ბაზების არარსებობის პრობლემურობაზე საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველიც.[1]

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2022 წლის განმავლობაში, სულ, სახელმწიფო საზღვრის კვეთა განხორციელდა 15,643,097-ჯერ (შემოსვლა + გასვლა), საიდანაც 69% უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ.[2] ამასთან, 2022 წელს საქართველოში უცხო ქვეყნიდან შემოსვლის 5,502,041 შემთხვევიდან, 3,571,465 შემთხვევაში, შემოსულმა პირმა ქვეყანაში დაყო 24 საათი და მეტი.[3]

საანგარიშო პერიოდში, 2021 წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნება ცალკეული ქვეყნებიდან შემომავალი ვიზიტორების რაოდენობის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ 2021 წელს რუსეთიდან – 291,511, თურქეთიდან – 358,014, სომხეთიდან კი – 218,349 შემოსვლა ფიქსირდებოდა, 2022 წელს ეს რიცხვი, რუსეთის შემთხვევაში – 1,459,541-მდე, თურქეთის შემთხვევაში – 1,030,199-მდე, სომხეთის შემთხვევაში კი – 1,018,771 ერთეულამდეა გაზრდილი.[4] ამ ფონზე, უკრაინიდან დაფიქსირებული შემოსვლების რაოდენობა მხოლოდ 32%-ით, 168,961-დან 223,697 ერთეულამდეა გაზრდილი.[5] თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ

1 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2022. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2022 წელი“. https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf გვ.309.

2 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2022. „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები“. https://info.police.ge/uploads/63dba9f1763d9.pdf

3 იქვე.

4 შესაბამისად, რუსეთის შემთხვევაში ფიქსირდება 401%-იანი, თურქეთის შემთხვევაში – 188%-იანი, სომხეთის შემთხვევაში კი – 367%-იანი ზრდა.

5 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2022. „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები“. https://info.police.ge/uploads/63dba9f1763d9.pdf

აკონკრეტებს, რომელი ქვეყნის მოქალაქეები შემოვიდნენ დასახელებული ქვეყნებიდან. შესაბამისად, 2022 წელს სომხეთიდან და თურქეთიდან შემომსვლელ უცხოელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, შესაძლოა, რუსეთის მოქალაქეების ხარჯზე იყოს, რომლებიც დასახელებული ქვეყნების გავლით ჩამოვიდნენ საქართველოში.

რაც შეეხება ქვეყანაში შემომსვლელთა მოქალაქეობას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, 2022 წელს 15 წლის და უფროსი ასაკის პირთა კატეგორიიდან საქართველოს ყველაზე დიდი რაოდენობით რუსეთის მოქალაქეები ეწვივნენ, ყოველთვიურად საშუალოდ 76,3 ათასი (შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში – 915,6 ათასი). რუსეთის შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობის შემოსვლა ფიქსირდება თურქეთის მოქალაქეების მხრიდან, რაც ყოველთვიურად საშუალოდ 59,2 ათას ვიზიტორს აღწევს. უკრაინისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების შემთხვევაში კი, ეს რიცხვი, შესაბამისად, 12,6 ათასსა და 21,5 ათასს შეადგენს.[6]

საკითხზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით TDI-მ მიმართა[7] შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაციის მოწოდება იმის თაობაზე, თუ საქართველოში შემოსვლის მსურველ რამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეთქვა უარი საქართველოს საზღვრის გადმოკვეთაზე (მოქალაქეობის მითითებით). ამასთან, TDI ითხოვდა ინფორმაციას ვიზიტორთათვის საზღვრის კვეთაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ინფორმაციის მოწოდებაზე ფაქტობრივად უარი განაცხადა.[8] მან გვაცნობა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირების თაობაზე მონაცემების შესახებ ინფორმაცია, განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე info.police.ge, სადაც პერიოდულად ქვეყნდება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. თუმცა, ამ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემები ზოგად ინფორმაციასაც კი არ მოიცავს საქართველოში არ შემოშვებული უცხოელი პირების რაოდენობის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი მოქალაქეობისა და არ შემოშვების სამართლებრივი საფუძვლების დაკონკრეტებაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ, შსს-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წელს საქართველოში შემოვიდა უცხო ქვეყნის 3,246,757 მოქალაქე, ხოლო 21,698 უცხოელს შეეზღუდა საქართველოში შემოსვლა, თუმცა სამინისტროს არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.[9]

გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოში შემოშვებაზე უარის თქმის მიზეზად, ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტებისა და დაკონკრეტე-

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2022. „უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა – ვიზიტორების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით“. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika

7 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2023 წლის 17 იანვრის N 833/01/2023 წერილი.

8 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 18 იანვრის MIA 2 23 00149594 წერილი.

9 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2022. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2022 წელი“. https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf გვ. 309.

ბის გარეშე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტს უთითებს, რომლის თანახმადაც, უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა, ამავე პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევებისაგან განსხვავებულ შემთხვევებში.

ეს ნორმა გულისხმობს, რომ, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კიდევ **სხვა შემთხვევებს**, რომელთა საფუძველზეც, უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება, უარი ეთქვას. შესაბამისად, თუკი მესაზღვრე უცხოელს აღნიშნული ნორმის საფუძველზე ეუბნება უარს საქართველოში შემოშვებაზე, მან კონკრეტულად (შინაარსობრივად) უნდა დაასახელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი (კონკრეტული სამართლებრივი აქტი და მისი კონკრეტული ნორმა (ნორმები)), რომელიც უცხოელისათვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს, რაც ასე არ ხდება.

ეს პრაქტიკა, წინა წლების მსგავსად, განსაკუთრებით თვალშისაცემია აფრიკისა და სამხრეთ აზიის ქვეყნების მოქალაქეებთან დაკავშირებით. მაგალითად, მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, სამედიცინო ფაკულტეტის სამხრეთაზიელი სტუდენტები ამბობენ, რომ ამ ქვეყნებიდან ტურისტებისა და სტუდენტებისთვის, რომელთაც ყველა სათანადო დოკუმენტი აქვთ, ჩვეულებრივი ამბავია, რომ უარი უთხრან ქვეყანაში შემოშვებაზე და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შემდეგი რეისით უკან დააბრუნონ. ისინი ჰყვებიან, თუ როგორ დააბრუნეს საქართველოდან უკან ინდოელი და ნიგერიელი სტუდენტები მიზეზის სათანადო განმარტების გარეშე.[10] სამედიცინო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი კი იხსენებს, თუ როგორ გაიყვანეს მოშორებით მესაზღვრეებმა გამოსაკითხად, როდესაც ის საქართველოში პირველად ჩამოვიდა.[11]

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის თვალსაზრისით, საინტერესოა უკრაინის, რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების მიმართ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ანალიზი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ დამუშავებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2022 წლის მარტში საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა რუსეთის 340, უკრაინის 65, ხოლო ბელარუსის 16 მოქალაქეს.[12] ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, 2022 წლის მარტში, როგორც რაოდენობრივად, ასევე პროცენტულად, ქვეყანაში შემოსვლაზე უფრო მეტჯერ უარი ეთქვათ უკრაინის მოქალაქეებს, ვიდრე ბელარუსისას.[13]

10 Civil.ge. 2022. „South Asian Students in Georgia Are Getting More than They Bargained For“. https://civil.ge/archives/498699

11 იქვე.

12 შესაბამისად, ქვეყანაში შემოსვლაზე უარი ეთქვა შემოსვლის მსურველი რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ 0,75%-ს, უკრაინის მოქალაქეების 0,38%-ს, ხოლო ბელარუსის მოქალაქეების მხოლოდ 0,08%-ს.

13 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2022. „უკრაინის, რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის სტატისტიკა – 2022 მარტი“. https://idfi.ge/ge/border_crossing_statistics_of_citizens_of_ukraine_russia_and_belarus

საინტერესოა, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მასობრივ შემოსვლასთან დაკავშირებით ჩატარებული საზოგადოების განწყობის კვლევის თანახმად მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია ამ თვალსაზრისით ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა. კერძოდ, გამოკითხულთა 57%-ის აზრით, საკითხისადმი ხელისუფლების მიდგომა მიუღებელია. ამის საპირწონედ, ხელისუფლების პოლიტიკას გამოკითხულთა მხოლოდ 29% უჭერს მხარს. ამასთან, რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას გამოკითხულთა 69% ემხრობა.[14]

მისაღებია თუ არა თქვენთვის საქართველოს ხელისუფლების მიდგომა საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლასთან დაკავშირებით?



NDI, 2022

1.2. საზღვრის კვეთის დაბრკოლებები უკრაინელი საჯარო პირებისთვის

2021 წლიდან ხელისუფლება საქართველოში შემოსვლაზე დაბრკოლებებს უქმნიდა უკრაინელ საჯარო პირებს.

საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს **უკრაინელ ჟურნალისტს, დმიტრი გორდონს**, რომელიც საზღვრიდან გააბრუნეს 2021 წლის 27 ოქტომბერს.[15]

როგორც გორდონი ამბობს, მას საზღვარზე უთხრეს, რომ საქართველოში შემოსვლა აკრძალული აქვს. მისივე თქმით, ქვეყანაში შემოსვლის უფლება არ მისცეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უკრაინის ოფისის ხელმძღვანელს, **მარია ბარაბაშსაც**. გორდონს სააკაშვილთან შეხვედრა სურდა.[16]

მანამდე ქვეყანაში არ შემოუშვეს სააკაშვილის **უკრაინელი ადვოკატი, ევგენ გრუშოვეცი**. შსს-ს არც ამაზე აქვს პასუხი.[17]

14 ჩატარებულია NDI-ს დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ. 2023. „საზოგადოების განწყობა საქართველოში – 2022 წლის დეკემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები“. https://Bit.ly/3AnH1XW.

15 ტელეკომპანია ფორმულა. 2021. „შსს-ს მე-2 დღეა არ აქვს პასუხი, რატომ არ შემოუშვეს საქართველოში დმიტრი გორდონი“, https://formulanews.ge/News/59043

16 იქვე.

17 იქვე.

2021 წლის 27 ოქტომბერს **უკრაინის სახალხო დამცველმა ლუდმილა დენისოვამ** თქვა, რომ საქართველოს საზღვარზე შეაყოვნეს და ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე ზარის შემდეგ შემოუშვეს. შსს-ს არც ეს განუმარტავს.[18]

საქართველოში არ შემოუშვეს **უკრაინელი ტელეწამყვანი, რომან დრიბნოიც**. როგორც დრიბნოი ყვება, მას აეროპორტში საზღვრის კვეთის უფლება არ მისცეს და განმარტებების გარეშე უკან გააბრუნეს. „პოლიციელები გამესაუბრნენ, როგორც წესია, ყველა შეკითხვა დამისვეს. ჩვენ გვაქვს უფლება, მიზეზი არ გავახმოვანოთ, ფურცელზე მიიღებთ დეტალურ ინფორმაციასო, იმავე თვითმფრინავში ჩამსვეს და ვარშავაში გამომიშვეს. თვითმფრინავში ასვლისას დავხედე პასპორტს და ფურცელს, სადაც მიზეზებში ეწერა: „სხვა მიზეზები", – ამბობს დრიბნოი.[19]

1.3. რუსი ჟურნალისტების, უფლებადამცველებისა და პოლიტიკოსების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთა

ბოლო პერიოდში საქართველოს საზღვრის კვეთის პროცესში სერიოზული დაბრკოლებები ექმნებათ რუსეთის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ, რეპრესიებს გამოქცეულ რუსეთის მოქალაქეებს, რაც, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოში მათი არშემოშვებით სრულდება.

მაგალითად, რუსი **ჟურნალისტი, საქველმოქმედო ფონდი „Нужна помощь"-ის თანადამფუძნებელი, მედიაპორტალი „Такие дела"-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, დმიტრი ალეშკოვსკი** ყვება, რომ 2022 წლის 7 სექტემბერს, ერევნიდან თბილისში ჩაფრენის შემდეგ, სასაზღვრო ჯიხურში მჯდომმა ქალმა, რომელსაც მისი სახელი ფურცელზე ეწერა, იგი პოლიციის ჯიხურისკენ გადაამისამართა; პოლიციის თანამშრომელმა კი, რომელმაც მას მხოლოდ თავისი სახელი გაუმხილა, თანამდებობა კი – არა, დეტალურად გამოჰკითხა საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობისა და საქართველოში ჩამოსვლის მიზნის შესახებ, რის შემდეგაც იგი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უკან, ერევანში, დააბრუნეს.[20] ამ შემთხვევაში, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ალეშკოვსკიმ 6 წლის განმავლობაში, რაც თბილისში ცხოვრობდა, თითქმის 60-ჯერ გადაკვეთა საზღვარი, მაგრამ პრობლემები მხოლოდ მას შემდეგ შეექმნა, რაც 2022 წლის ივლისში რუსეთში „უცხო ქვეყნის აგენტის" სტატუსი მიანიჭეს.[21]

2022 წლის მარტში ქვეყანაში არ შემოუშვეს დამოუკიდებელი რუსულენოვანი გამოცემის, **„მედიაზონის", ჟურნალისტი, დევიდ ფრენკელი** და ასევე დამოუკიდებელი ტელეკომპანია **„დოჟდის" ჟურნალისტი, მიხაილ ფიშმანი.**[22]

18 იქვე.
19 ტაბულა, „საქართველოში უკრაინელი ტელეწამყვანი არ შემოუშვეს". 2022. https://tabula.ge/ge/news/691488-sakartveloshi-ukraineli-telecamqvani-ar
20 ნემსაძე, გვანცა. 2022. „ვისგან არის დაცული საზღვარი – როგორ გავიგოთ, ვის არ უშვებენ საქართველოში? – შსს-ის განმარტებები." https://shorturl.at/qwFHS
21 იქვე.
22 იქვე.

კრემლისადმი კრიტიკულად განწყობილი კიდევ ერთი **რუსი ბლოგერი, ალექსეი რომანოვი** საქართველო-სომხეთის საზღვარზე მდებარე სადახლოს გამშვებ პუნქტზე დაახლოებით 6-საათიანი ლოდინის შემდეგ საქართველოში არ შემოუშვეს.[23]

საქართველოში არ შემოუშვეს არც რუსეთის ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი **რუსი მწერალი, ფილიპ ძიადკო**, რომელიც „დოჟდის" ჟურნალისტის, ტიხონ ძიადკოს, ძმაა, და, აგრეთვე „დოჟდის" ჟურნალისტი – საშა შვედოვა.[24]

საქართველოში შემოსვლაზე ასევე უარი უთხრეს, პატიმრობაში მყოფი რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, **ალექსეი ნავალნის მთავარ მოკავშირეს, ლიუბოვ სობოლს**.[25]

საქართველოში შესვლა ვერ შეძლო Проект-ის **ჟურნალისტმა კატია არენინამ**, Pussy Riot-ის **აქტივისტმა ნიკა ნიკულშინამ** და „მედიაზონის" **რედაქციის მენეჯერმა გალა ლატიგოვსკაიმ.**[26] არცერთი მათგანისთვის საქართველოში შემოშვებაზე უარის მიზეზი არ განუმარტავთ.[27]

საქართველოში კიდევ ერთი რუსი ოპოზიციონერი **ჟურნალისტი, ალექსანდრა შევჩენკო** არ შემოუშვეს.[28]

2023 წლის 14 თებერვალს ფონდის „არა ძალადობას" დამფუძნებელი, **რუსი აქტივისტი და უფლებადამცველი, ანა რივინა**, რომელიც რუსეთში „უცხოელ აგენტად" არის გამოცხადებული, საქართველოში არ შემოუშვეს.[29]

საანგარიშო პერიოდის 5 სექტემბერს კი კრემლის კიდევ ერთი კრიტიკოსი, **რუსი ფოტოჟურნალისტი, ვასილი კრესტიანინოვი** საქართველოდან უკან გააბრუნეს.[30]

2022 წლის 16 ივნისს საქართველომ საზღვარზე არ შემოუშვა ყაბარდო-ბალყარელი **ბლოგერი, ინსა ლანდერი**, რომლის წინააღმდეგ რუსეთში სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს.[31]

გარდა ამისა, ასევე მიზეზების ყოველგვარი ახსნის გარეშე საქართველოში არ შემოუშვეს რამდენიმე რუსული ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც საჯარო საქმიანობას

23 იქვე.
24 გვინდაძე, სანდრო და არაბული, ნასტასია . 2023. „საქართველოში აგენტების ადგილი არ არის. როგორ და რატომ არ უშვებენ პუტინის მოწინააღმდეგეებს?" https://www.radiotavisupleba.ge/a/32322694.html
25 Civil.ge. 2022. „საქართველოში კიდევ ერთი რუსი ჟურნალისტი არ შემოუშვეს", 2022. https://civil.ge/ka/archives/507587
26 რადიო თავისუფლება. 2022. „რუსი ჟურნალისტები და აქტივისტები საქართველოში არ შემოუშვეს", https://www.radiotavisupleba.ge/a/32133223.htm
27 იქვე.
28 Jam News. 2023. „საქართველოში კიდევ ერთი რუსი ოპოზიციონერი ჟურნალისტი, ალექსანდრა შევჩენკო არ შემოუშვეს". https://jam-news.net/ge/saqartveloshi-rusi-opozicioneri-djurnalisti-ar-shemoushves/
29 იქვე.
30 იქვე.
31 იქვე.

არ ეწევიან და მათი სახელები უცნობია ფართო საზოგადოებისთვის. ამასთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ აკეთებენ არც სამართალდამცავ სტრუქტურებში და არც საქართველოს მთავრობაში.[32]

პუტინის რეჟიმის მოწინააღმდეგე **რუსი მწერალი და დისიდენტი, დმიტრი ბიკოვი**, რამდენიმესაათიანი დაყოვნების შემდეგ შემოუშვეს საქართველოში.[33]

1.4.ჩრდილოკავკასიელების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთა

2022 წლის 21 სექტემბერს ვლადიმირ პუტინმა რუსეთში ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა, რის შემდეგაც რუსეთის მოქალაქეებმა მასობრივად დაიწყეს ქვეყნის დატოვება. მათმა ნაწილმა საქართველოში წამოსვლა გადაწყვიტა, რომელთა შორისაც რუსეთის ჩრდილოკავკასიელი მოქალაქეებიც იყვნენ.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მესაზღვრეები ჩრდილოკავკასიელების დიდ ნაწილს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე უარს ეუბნებოდნენ მიზეზის აუხსნელად და უკან აბრუნებდნენ.[34] სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.[35]

ჩრდილოკავკასიელი რესპონდენტები მედიასთან ინტერვიუში აღნიშნავდნენ, რომ მესაზღვრეები მათ, სავარაუდოდ, სხვადასხვა გარეგნული, რელიგიური და კულტურული ატრიბუტის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ პასპორტში დაბადების ადგილად ჩრდილოეთ კავკასია ჰქონდათ მითითებული,[36] დამატებითი შემოწმების გასატარებლად სპეციალურად გამოყოფილ ოთახში (ოთახი N222) აყოვნებდნენ. ჩრდილოკავკასიელებს საქართველოში შემოსვლის სხვა მსურველთაგან აცალკევებდნენ, ამ ოთახში მიჰყავდათ, სადაც დამატებით გამოჰკითხავდნენ პირად თუ საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, უღებდნენ ფოტოსურათებს და რამდენიმესაათიანი (ზოგჯერ კი რამდენიმედღიანი[37]) ლოდინის შემდეგ ხშირად უკან აბრუნებდნენ.[38]

32 იქვე.
33 იქვე.
34 ქევანიშვილი, ეკა. 2022. „ოთახი #222 - რატომ არ უშვებენ ჩრდილოკავკასიელებს საქართველოში?“ https://www.radiotavisupleba.ge/a/32021032.html
35 სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. „შემაშფოთებელია ჩრდილოეთ კავკასიელების მიმართ საზღვარზე შემოწმების სავარაუდო დისკრიმინაციული მიდგომა“. https://socialjustice.org.ge/ka/products/shemashfotebelia-chrdiloet-kavkasielebis-mimart-sazghvarze-shemotsmebis-savaraudo-diskriminatsiuli-manera?fbclid=IwAR0ZZbUhvXpDZtgJLan19z-GnWt9Q9-NG2zfWnZdDQvKmtECYg4NiZ_Mc2xk
36 ქევანიშვილი, ეკა. 2022. “ოთახი #222 – რატომ არ უშვებენ ჩრდილოკავკასიელებს საქართველოში?“, 2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/32021032.html
37 მიხალენკო, ლიდია. 2022. „ყველაზე ბევრი იყვნენ ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები“, – ვინ როგორ გამორბოდა საქართველოში“, https://www.radiotavisupleba.ge/a/32074430.html
38 ქევანიშვილი, ეკა. 2022. „ოთახი #222 – რატომ არ უშვებენ ჩრდილოკავკასიელებს საქართველოში?“, https://www.radiotavisupleba.ge/a/32021032.html

TDI-მ ჩაატარა ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩეჩნეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებთან. ორივე მათგანი საზღვარზე სავარაუდო რელიგიური ნიშნით განსხვავებულ მოპყრობასა და გამორჩევაზე (profiling) საუბრობდა:

„რასაც შევესწარი, იყო დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობა, მუყაოს ყუთები ჰქონდათ გაშლილი ადამიანებს და იქვე ეძინათ. კაცები წვერს იპარსავდნენ და ამბობდნენ, უწვეროდ უფრო მარტივად გაგვიშვებენო. მხოლოდ ჩრდილოკავკასიელებს ეპყრობოდნენ ასე.“ – 35 წლის ბულატი.

„ჩემს გვარზე გაამახვილეს ყურადღება, ჰიჯაბი მეხურა და მკითხეს, ასეთი ჩაცმულობა რატომ გაქვსო. შემდეგ დაწვრილებით გამომკითხეს, როდის მივიღე ისლამი, მოძღვარი მყავდა თუ არა, ჩემი ქმარიც მუსლიმი იყო თუ არა, და მან ხომ არ მიმაღებინა ისლამი. ჩემი ქმარი ბათუმში ცხოვრობს და მასთან ჩავდიოდი ექვსი წლის შვილთან ერთად. სხვა თავსაფრიანი ქალებიც ამბობდნენ, რომ რელიგიაზე ზედმეტად ამახვილებენ ყურადღებასო.“ – 32 წლის ნინა.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ გამოცემული „საერთაშორისო საზღვრებზე ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ რეკომენდებული პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების“ თანახმად, საერთაშორისო საზღვრებზე მიგრანტების მიმართ ნებისმიერი უთანასწორო მოპყრობა უნდა ემსახურებოდეს კანონით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ და პროპორციულ მიზანს. კერძოდ, უკანონო მიგრაციის საპასუხოდ ან ტერორიზმის, ტრეფიკინგისა თუ მიგრანტების უკანონოდ შემოყვანის საწინააღმდეგოდ გატარებული ზომები, მიზნითა თუ შედეგით, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული, რაც შეიძლება იმითაც გამოიხატებოდეს, რომ მიგრანტები დაექვემდებარონ აკრძალული საფუძვლებით გამორჩევას. **ეს ზომები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ასევე იმის მიუხედავადაც, მიგრანტები უკანონოდ შემოჰყავთ თუ ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან.**[39]

1.5. ხელისუფლების განმარტება უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში არშემოშვებასთან დაკავშირებით

უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში არშემოშვებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე, აცხადებს, რომ „იმ პირებს, რომლებმაც, შესაძლოა, ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნან, უარს ვეუბნებით და ქვეყნის საზღვრიდან გაბრუნება ხდება“.[40] მისივე თქმით, „მათი შემოშვება და აკრძალვა ხდება იმ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც კანონშია გაწერილი და იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც

39 UN Office of the High Commissioner for Human Rights. 2014. "Recommended Principles and Guidelines on Human Rights at International Borders." https://www.refworld.org/docid/56d00ea54.html

40 რადიო თავისუფლება. 2022. „რუსი ჟურნალისტები და აქტივისტები საქართველოში არ შემოუშვეს“. https://www.radiotavisupleba.ge/a/32133223.html

გააჩნია სახელმწიფო უწყებებს“.[41] დარახველიძე აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სხვადასხვა „სამართლებრივი და სხვა მექანიზმით“ ფილტრავს“.[42] მისი განმარტებით, საქართველოში შემოსვლის მსურველ პირს ამოწმებენ „იმ არსებულ ბაზებში, რომელიც გააჩნია შსს-ს“.[43] ეს ბაზები მოიცავს სხვადასხვა ტიპის ღია და დახურულ ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც, დარახველიძის თქმით, მიიღება პირის საქართველოში შემოშვების შესახებ გადაწყვეტილება.[44] მისივე განმარტებით, ეს ბაზები მოიცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციასაც, რომელიც, შესაძლებელია, უცხო ქვეყნების სამსახურებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდეს.[45]

ამ განმარტების ფონზე, განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ მხოლოდ საანგარიშო პერიოდში საქართველოში არ შემოუშვეს 15-მდე რუსი უფლებადამცველი, პოლიტიკოსი და ჟურნალისტი, რომლებიც პუტინის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი და ზოგიერთი მათგანი რუსეთში „უცხოელ აგენტად“ არის გამოცხადებული, რის გამოც, ისინი რუსეთში პოლიტიკური ანგარიშსწორების საფრთხის წინაშე დგანან.[46] ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლებას ხელს უწყობს ადგილობრივი უფლებადამცველების, კრიტიკული მედიისა და პოლიტიკური ოპოზიციის დევნაში.

რუსეთის მიმართ ლოიალურ და ანტიუკრაინულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარებიც საზღვარზე შექმნილ ხელოვნურ წინააღმდეგობებზე.

მაგალითად, ქართული ოცნების დეპუტატი, გია ვოლსკი, დიმიტრი გორდონის არშემოშვებაზე ამბობდა: „არ ვთვლი, რომ გორდონი მხოლოდ ჟურნალისტია, ვფიქრობ, რომ სააკაშვილის პოლიტიკური მოკავშირეა და არამარტო ჟურნალისტური საქმიანობისთვის შემოდიოდა საქართველოში – ვითარების ესკალაცია, დაძაბვა, სკანდალის შექმნა იყო მისი მიზეზი. ამ მიზეზებით, ჩემი შეხედულებით, მე რომ ვყოფილიყავი მესაზღვრის ადგილას, ამ მიზეზებით გადავწყვეტდი, რომ არ შემოვუშვა“.[47] გორდონთან დაკავშირებით მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ კი განაცხადა: „ერთი არის მთავარი, რომ შოუს დადგმის საშუალებას ჩვენ, ბუნებრივია, არავის მივცემთ. კონკრეტულმა უწყებამ რატომ არ შემოუშვა კონკრეტული პირი საქართველოში, ამაზე მე ვერ გავაკეთებ განმარტებას“.[48]

41 ნემსაძე, გვანცა. 2022. „ვისგან არის დაცული საზღვარი – როგორ გავიგოთ, ვის არ უშვებენ საქართველოში? – შსს-ის განმარტებები“. https://shorturl.at/qwFHS

42 იქვე.

43 იქვე.

44 იქვე.

45 იქვე.

46 ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ახალი კანონი მიიღო, რომლის მიხედვით, ისეთი ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელსაც კრემლი „ფეიკად“ მიიჩნევს, ადამიანი, შეიძლება, დაისაჯოს მსხვილი ჯარიმით ან მრავალწლიანი პატიმრობით. http://bit.ly/418q7Ym

47 ტაბულა, „ვოლსკი გორდონზე: მხოლოდ ჟურნალისტური საქმისთვის არ შემოდიოდა, სააკაშვილის მოკავშირეა“. 2021, https://tabula.ge/ge/news/675223-volski-gordonze-mkholod-zhurnalisturi-sakmistvis

48 რადიო თავისუფლება, 2021. https://www.radiotavisupleba.ge/a/31533474.html

მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ჯობს, უკრაინის სახალხო დამცველმა მეტი ყურადღება იმ „ათასობით“ პატიმარს დაუთმოს, რომლებიც უკრაინულ ციხეებში „ჰყავს“. ქართული ოცნების საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანმა, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინის სახალხო დამცველი საქართველოში არის „კერძო პირი“ და დასძინა, რომ „ომბუდსმენის იურისდიქცია შემოიფარგლება იმ ქვეყნით, რომელშიც ის არის“. „საქართველო, ეს არ არის ყველას ფეხების შესაწმენდი ქვეყანა. უკრაინის დეპუტატი იქნება, თუ სახალხო დამცველი, კეთილი უნდა ინებოს და პატივი სცეს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს“, – განაცხადა ქართული ოცნების კიდევ ერთმა დეპუტატმა, ირაკლი ქადაგიშვილმა.[49]

49 Civil.ge „ქართული ოცნების დეპუტატები უკრაინის სახალხო დამცველს აკრიტიკებენ“, 16/11/2021, https://civil.ge/ka/archives/455684

2. საქართველოში ბინადროობის ნებართვის მიღების საკითხი

ბინადრობის ნებართვის გაცემის თვალსაზრისით სახელმწიფოს პრობლემური პოლიტიკა არც საანგარიშო პერიოდში შეცვლილა. კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბინადრობის ნებართვის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის გამოცხადების პრაქტიკა, რასაც საფუძვლად, თითქმის ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნა უდევს.

2022 წლის განმავლობაში ბინადრობის ნებართვის მიღების თაობაზე სახელმწიფოსთვის მიმართვიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით TDI-მ მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“).[50] კერძოდ, გამოთხოვილი ინფორმაცია მოიცავდა მონაცემებს ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით შესული განცხადებების, დაკმაყოფილებული განცხადებებისა და განცხადების დაკმაყოფილებაზე სახელმწიფოს მხრიდან გაცემული უარის რაოდენობის შესახებ, შესაბამისი მოქალაქეობის მითითებით.[51] წერილის პასუხად, სააგენტომ TDI-ს არასრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდა.[52]

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის განმავლობაში სულ ბინადრობის ნებართვის 27,909 განცხადებაზე იქნა გადაწყვეტილება მიღებული. კერძოდ, დაკმაყოფილდა 23,426 და უარყოფილ იქნა 4,483 განცხადება. განცხადებების ყველაზე დიდი წილი სასწავლო ბინადრობის ნებართვებზე მოდის (სულ, 10,650 ერთეული). აღსანიშნავია, რომ უარყოფითი გადაწყვეტილება ყველაზე იშვიათად სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოთხოვნის განცხადებებზე მიიღება (კერძოდ, სულ წარდგენილ 10 650 განცხადებაზე მიღებული იქნა 256 უარყოფითი გადაწყვეტილება (2,4%)). ამასთან, არდაკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შეინიშნება შრომითი ბინადრობის ნებართვის განცხადებებზე. კერძოდ, ამ კატეგორიის ნებართვის მისაღებად წარდგენილი 6,850 განცხადების, დაახლოებით, (2,216 ერთეული) არ დაკმაყოფილდა.[53]

50 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2023 წლის 31 იანვრის N 836/01/2023 წერილი.

51 მათ შორის, ისეთი შემთხვევების მითითებით, სადაც ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნა/რეკომენდაცია იყო (უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და/ან „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე).

52 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 13 თებერვლის N 01/34014 წერილი.

53 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 13 თებერვლის N 01/34014 წერილის დანართი.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ „(ა) არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ; (გ) იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს“.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის განმავლობაში ბინადრობის ნებართვის განცხადებებზე სახელმწიფოს მიერ მიღებული 4,483 უარყოფითი გადაწყვეტილების აბსოლუტური უმრავლესობა (კერძოდ, 4,441 შემთხვევა), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარდგენილ დასკვნას დაეყრდნო. ამასთან, სააგენტოდან გვეცნობა, რომ არ ფიქსირდება არცერთი შემთხვევა, როცა, უსაფრთხოების სამსახურის მიერ მომზადებული უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, სააგენტომ უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.[54] შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა არ არის სავალდებულო და ის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, ამგვარი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, სააგენტო მაინც უპირობოდ ამბობს უარს განცხადების დაკმაყოფილებაზე.

TDI წლების განმავლობაში სწავლობს სახელმწიფო პოლიტიკას მიგრანტების, განსაკუთრებით კი აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ. სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ განსაკუთრებით 2015 წლიდან ხელისუფლებას აქვს შერჩევითი და დისკრიმინაციული დამოკიდებულება ამ ქვეყნების წარმომადგენლებისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემაზე, რაც, შესაძლოა, სისტემურ რასიზმზეც მიანიშნებდეს.[55]

როგორც 2012-2017 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ადასტურებდა, ყველაზე ხშირად, ბინადრობის ნებართვის მიღებაზე საქართველოში უარს იღებდნენ წარმოშობით ნიგერიელი, კამერუნელი, ეგვიპტელი, ინდოელი, ბანგლადეშელი და პაკისტანელი განმცხადებლები. უარი, უმეტეს შემთხვევაში, ეფუძნებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფით დასკვნას. შედარებისთვის, ამავე პერიოდში ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა ნიგერიელ განმცხადებელთა 26%-ს, ეგვიპტელების – 37%-ს, ხოლო რუსებისა – 6.2%-ს.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, TDI-მ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან ვერ მიიღო 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები ბინადრობის ნებართვების მისაღე-

54 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 13 თებერვლის N 01/34014 წერილი.

55 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). 2019. „რასობრივი შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია. უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“. https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi_angarishi_rasobrivi_diskriminacia_ucxoelebis_uplebebi.pdf

ბად წარდგენილი განცხადებების, მათ დაკმაყოფილებაზე უარისა და უარის საფუძვლების შესახებ განმცხადებელთა მოქალაქეობის ქვეყნების (მათ შორის, აფრიკისა და აზიის ქვეყნების) მიხედვით. შესაბამისად, რადგან ამ საკითხზე საჯარო ინფორმაციის მიღება საგრძნობლად გაუმჭვირვალე გახდა, TDI მოკლებულია შესაძლებლობას, სრულფასოვნად შეაფასოს სახელმწიფოს პოლიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, მათ შორის, სავარაუდო სისტემური რასიზმის დინამიკა.

თუმცა, TDI მუდმივად იკვლევს და აკვირდება საქართველოში მცხოვრები მიგრანტების უფლებრივ მდგომარეობას. აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა კვლავ დისკრიმინაციულია და ისინი ხშირად დაუსაბუთებელ უარს იღებენ ბინადრობის ნებართვაზე. მათ შორის არიან უცხოელი სტუდენტებიც, რომლებსაც დაბრკოლება ექმნებათ სწავლის გაგრძელებაში.

TDI-მ შეძლო შედარებით დეტალური ინფორმაციის მოპოვება რუსეთის, ბელარუსის და უკრაინის მოქალაქეების ბინადრობის ნებართვების შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის[56] თანახმად, 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 11 აპრილამდე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით სულ 10,304 განცხადება წარადგინეს, რომელთა 32,5% (3,340), სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებზე მითითებით, არ დაკმაყოფილდა მაშინ, როდესაც ნახევარზე მეტი, 56% (5,759) დაკმაყოფილდა. დანარჩენი 11,5% განხილვის პროცესშია ან მათზე წარმოება შეჩერებულია.

რუსეთის მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა



დაკმაყოფილებული განცხადებების 28% (1590) ეხებოდა მუდმივი ცხოვრების ნებართვას საქართველოს მოქალაქეების ოჯახის წევრების ან იმ პირებისთვის, რომლებიც საქართველოში

56 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 26 აპრილის N 01/97285 წერილი.

10 წლის განმავლობაში ცხოვრობენ; 10% საქართველოს ყოფილი მოქალაქეების მიერ იყო წარდგენილი. სასწავლო, მოკლევადიანი და შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა დაკმაყოფილებული განცხადებების 45%-ს შეადგენს, ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ნებართვების რაოდენობა – 15%-ს, საინვესტიციო ნებართვების რაოდენობა – 1,5%-ს, ხოლო სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვების რაოდენობა – 0,5%-ს.

წლების მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვებთან დაკავშირებით რუსეთის მოქალაქეების მიმართვიანობისა და დაკმაყოფილების დინამიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება. მაგალითად, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმართვიანობა 54%-ით გაიზარდა, ხოლო დაკმაყოფილების მაჩვენებელი – 25%-ით. ეს მატება კიდევ უფრო თვალსაჩინოა 2019 და 2020 წლებთან შედარებით. კერძოდ, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან (მარტი-ივლისი) შედარებით, 2022 წელს 1321-ით (+185%) მეტმა რუსეთის მოქალაქემ მიმართა სააგენტოს ბინადრობის ნებართვის მისაღებად, ხოლო დაკმაყოფილებულმა განცხადებებმა, 2019 წელთან შედარებით, 972-ით მეტი (+155%) 1598 შეადგინა.[57]

ანალიზი რუსეთის მოქალაქეებისთვის მიცემული ბინადრობის ნებართვების კატეგორიების და წლების მიხედვით აჩვენებს, რომ 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა მხოლოდ მუდმივი ცხოვრებისთვის გაცემული ბინადრობის ნებართვების მაჩვენებელი, ხოლო სხვა თითქმის ყველა კატეგორიაში გაზრდილია დაკმაყოფილების მაჩვენებელი, მათ შორის, მოკლევადიანი ბინადრობის, ოჯახის გაერთიანების, სასწავლო და შრომითი ბინადრობის კატეგორიებში. ყველაზე დიდი ზრდა, გასულ წელთან შედარებით, შრომით ბინადრობასა (+173%) და მოკლევადიან ბინადრობაში (+157%) დაფიქსირდა.[58]

უკრაინის მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა



57 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2022. „რუსეთის მოქალაქეებზე გაცემული ბინადრობის ნებართვები (მარტი-ივლისი)“. https://idfi.ge/ge/residence_permits_issued_to_citizens_of_russia

58 იქვე.

იმავე პერიოდში ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით უკრაინის მოქალაქეების მიერ მხოლოდ 943 განცხადება იქნა წარდგენილი, რომელთა 5%, სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებზე მითითებით, არ დაკმაყოფილდა, ხოლო 85% დაკმაყოფილდა.

1925 განცხადება წარადგინეს ბელარუსის მოქალაქეებმა. მათი 28% (543), სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებზე მითითებით, არ დაკმაყოფილდა, ხოლო 61% (1167) დაკმაყოფილდა.

ბელორუსის მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა



3. ელექტრონული ვიზების გაცემის პრობლემა

საქართველოში უცხოელი სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილს ინდოელი და ნიგერიელი სტუდენტები შეადგენენ. შესაბამისად, მათ პერიოდულად უწევთ საქართველოს ვიზის მიღება, რაც საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მათი საცხოვრებელი ადგილებიდან ხშირად ძალიან დიდი მანძილით დაშორების გამო მეტად რთულია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ელექტრონული ვიზის გაცემის სერვისი. თუმცა ამ სერვისს გარკვეული ხარვეზები აქვს.

ელექტრონული ვიზის მიღება გულისხმობს საქართველოს ვიზის მიღებას საქართველოს დიპლომატიურ თუ საკონსულო დაწესებულებაში მიუსვლელად, ელექტრონული ვიზის პორტალით (www.evisa.gov.ge) ელექტრონული განაცხადის გაგზავნის მეშვეობით.

TDI-სთან საუბარში[59] ინდოელმა და ნიგერიელმა სტუდენტებმა ერთ-ერთ პრობლემად სწორედ ელექტრონული ვიზის მიღების შეუძლებლობა/შეფერხება დაასახელეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით TDI-მ საგარეო საქმეთა სამინისტროსგან გამოითხოვა[60] შემდეგი ინფორმაცია:

1. ელექტრონული ვიზის მიღების სერვისით სარგებლობა რომელი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის არის დაშვებული და როდიდან და რომელი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის – არა;
2. შეუძლიათ თუ არა ამ სერვისით სარგებლობა ნიგერიისა და ინდოეთის მოქალაქეებს;
3. ინდოეთისა და ნიგერიის მოქალაქეებისათვის ხომ არ ყოფილა რაიმე შეფერხება ელექტრონული ვიზის მიღების სერვისით სარგებლობის პროცესში; თუკი ასეთი შეფერხება იყო, როდის და რა მიზეზით მოხდა ეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი[61] არასრულად/არაზუსტად აძლევს პასუხს ორგანიზაციის მიერ დასმულ შეკითხვებს. კერძოდ, პირველი კითხვის პასუხად სამინისტ-

59 ფოკუსჯგუფები გაიმართა 2023 წლის 8 აპრილს.
60 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2023 წლის 22 მაისის N852/05/2023 წერილი (გაიგზავნა 23 მაისს).
61 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 5 ივნისის № 01/18693 წერილი.

რომ მიუთითა, რომ ინფორმაცია იმ ქვეყნების მოქალაქეების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ელექტრონული ვიზის პორტალით (www.evisa.gov.ge) სარგებლობა, არის საჯარო და ამ ინ-ფორმაციის ხილვა შესაძლებელია ნებისმიერი პირისათვის ელექტრონული ვიზის პორტალის შემდეგ ვებგვერდზე www.evisa.gov.ge.

მაგრამ ამ ვებგვერდზე არ იძებნება იმ სახელმწიფოების ერთიანი ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ ელექტრონული ვიზის მიღება.

ნიგერიის მოქალაქეების მიერ ელექტრონული ვიზის მიღების სერვისით სარგებლობის შესახებ სამინისტრომ გვაცნობა, რომ მათთვის ეს სერვისი ხელმისაწვდომი არ არის. საქართველოს ვიზის მისაღებად მათ უწევთ, მიმართონ საქართველოს რომელიმე შემდეგ დიპლომატიურ წარმომადგენლობას: საქართველოს საელჩოს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, საქართვე-ლოს საელჩოს ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საქართველოს საელ-ჩოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ეს გარემოება დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიც-ხული ნიგერიელი სტუდენტებისთვის, რადგან ჩამოთვლილი სახელმწიფოები ძალიან დიდი მანძილითაა დაშორებული ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკისგან და ვიზის მისაღებად იქ ჩასვლა ნიგერიელი სტუდენტებისთვის მეტად რთულია. მათი აზრით, ამ სიტუაციიდან საუკე-თესო გამოსავალი მათთვის ელექტრონული ვიზის მიღების შესაძლებლობის მიცემა იქნებო-და.

რაც შეეხება ელექტრონული ვიზის მიღების სერვისის შეფერხებას, ამის თაობაზე სამინისტ-რომ გვაცნობა, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში, არსებული შეზღუდვების გათვალისწი-ნებით, ელექტრონული ვიზის პორტალის ფუნქციონირება შეჩერებული იყო, მათ შორის ინ-დოეთის მოქალაქეთათვის. 2023 წლის მაისის თვიდან ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს შეუძლიათ, დაუბრკოლებლად ისარგებლონ ელექტრონული ვიზის პორტალით.

იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის გაზაფხულზე COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებუ-ლი თითქმის ყველა რეგულაცია (მათ შორის, საერთაშორისო ფრენებზე დაწესებული შეზ-ღუდვა) მოიხსნა და პანდემია პრაქტიკულად დასრულებულად გამოცხადდა, ინდოეთის მო-ქალაქეებისთვის ელექტრონული ვიზის გაცემის სერვისის აღდგენის ერთი წლით გადავადება გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

4. თავშესაფრის მაძიებლები

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ქვეყანაში 1473 თავშესაფრის მაძიებელია რეგისტრირებული.[62] მათი უმეტესობა უკრაინის (516), თურქეთის (203), ირანისა (194) და რუსეთის (115) მოქალაქეა.[63]

თავშესაფრის მაძიებელთაგან საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვა (თავშესაფარი) 45 პირმა მოითხოვა. წინა წლებთან შედარებით გაორმაგებულია განხილული საქმეების რაოდენობა და საანგარიშო პერიოდში სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი ძირითადად გაზრდილია უკრაინის მოქალაქეებისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებით.[64]

2022 წლის განმავლობაში 1323 განხილული საქმიდან უარი ეთქვა 822 პირს.[65] უარის საფუძვლები ძირითადად იყო თავშესაფრის მიღებისთვის საჭირო მიზეზების არქონა (793 პირი), ხოლო უსაფრთხოების საფუძვლით უარი ეთქვა 29 თავშესაფრის მაძიებელს.[66] განხილულ საქმეებში არ შედის საკუთარი განცხადებით და გამოუცხადებლობის გამო საქმის შეწყვეტის შემთხვევები. იმ პირთაგან, რომლებსაც უარი ეთქვათ უსაფრთხოების საფუძვლით, ავღანეთის – 14 და სირიის 2 მოქალაქეა, რომელთა წარმოშობის ქვეყნებშიც ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები კვლავ საყურადღებოა.

62 შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2022. „შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები“. https://info.police.ge/page?id=630&parent_id=258
63 იქვე.
64 იქვე.
65 იქვე.
66 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2022. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2022 წელი“. https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf გვ.309.

5. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოში ჩამოსული უკრაინელების მდგომარეობა

5.1. სტატისტიკური ინფორმაცია

უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად 7,8 მილიონზე მეტი ადამიანი ლტოლვილად იქცა. 2023 წლის თებერვლის მონაცემებით 160,000-ზე მეტი უკრაინელი შემოვიდა საქართველოში. თუმცა სახელმწიფო არ აწარმოებს ზუსტ სტატისტიკას საქართველოში შემოსული, საქართველოდან გასული და ქვეყანაში მყოფი უკრაინელების შესახებ. ასევე საქართველოს მთავრობას ამ დრომდე არ გააჩნია ერთიანი და ქმედითი სტრატეგია და პოლიტიკა მათ დასახმარებლად.[67]

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) 2023 წლის თებერვლის მონაცემებით, საქართველოში 25,101 უკრაინელი იმყოფებოდა,[68] ხოლო 2023 წლის 9 მაისის მონაცემებით – 24,182. მათი დიდი ნაწილი მარიუპოლიდან და ხარკივიდანაა, ქალაქებიდან, რომლებიც ომის შედეგად განსაკუთრებით მძიმედ დაზარალდა.

საქართველოში უკრაინელებს თავიდან ჰქონდათ უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით ყოფნის უფლება.[69] 2023 წლის 24 თებერვალს საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 5 ივნისის №255 დადგენილებაში №81 დადგენილებით შესაბამისი ცვლილება შეიტანა და უკრაინის მოქალაქეებისთვის უვიზოდ დარჩენის ვადა ორ წლამდე გახანგრძლივდა.[70]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2022 წელს უკრაინის 367 მოქალაქეს მიენიჭა ჰუმანიტარული სტატუსი.[71] სტატუსის მინიჭებაზე უკრაინელების მხრიდან დაბალი მიმართვიანობა ძირითადად განპირობებულია გაურკვევლობით; ბევრი მოელის, რომ ომი დასრულდება

67 სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2023. „საქართველოში მცხოვრები უკრაინელი ლტოლვილების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა ფრაგმენტული და სუსტია“. https://socialjustice.org.ge/ka/products/sakartveloshi-mtskhovrebi-ukraineli-ltolvilebis-mimart-sakhelmtsifo-politika-fragmentuli-da-sustia

68 Unhcr.org. 2023. „Ukraine Refugee Situation – RRP Achievements“, 2023. https://data.unhcr.org/en/dataviz/291?sv=54&geo=0

69 საქართველოს მთავრობა. 2015. „საქართველოს მთავრობის დადგენილება #255“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2867361?publication=0

70 საქართველოს მთავრობა. 2023. „საქართველოს მთავრობის დადგენილება №81“. https://matsne.gov.ge/ka/document/download/5732020/0/ge/pdf

71 შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2022. „შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები“. Info.police.ge. https://info.police.ge/page?id=630&parent_id=258

და ისინი შინ დაბრუნებას შეძლებენ. ასევე, ჰუმანიტარული სტატუსის მოპოვების შედეგად მიღებული ფინანსური და სოციალური დახმარება მინიმალურია.[72]

5.2. ფინანსური სირთულეები, დასაქმება და ყოველდღიური საჭიროებები

Care Caucasus-ის 2023 წლის კვლევის[73] თანახმად უკრაინელების მთავარი გამოწვევები ფინანსური შემოსავალი და უმუშევრობაა. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი კვლევის ჩატარების დროს ეძებდა სამსახურს.

ომის შედეგად საქართველოში ჩამოსული უკრაინელების საჭიროებების შესახებ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR)-სა და World Vision საქართველოს კვლევის[74] ფარგლებში გამოკითხულების 35% აცხადებდა, რომ არ აქვს ფული საბაზისო მოთხოვნილებებისთვის, 19%-ს არ აქვს აქვს წვდომა წყალსა და საკვებზე, 16%-ს – ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე.

კვლევის თანახმად, გამოკითხვის პერიოდში, მხოლოდ 16% იყო დასაქმებული; 31%-ისთვის კი შემოსავლის ძირითადი წყარო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფოს ან მოხალისეების მიერ გაწეული დახმარება იყო. გამოკითხულთა 28% ძირითადი საჭიროებებისთვის პირად დანაზოგებს იყენებდა, ხოლო 22% – საპენსიო დანაზოგებს.

2022 წლის 13 ივლისიდან უკრაინის მოქალაქეებისთვის ამოქმედდა პროგრამა[75], რომელიც ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებს: 1) იმ პირებისთვის, რომლებიც საქართველოში შემოსული არიან 2022 წლის 1-ელი თებერვლიდან 2022 წლის 15 ივლისამდე, და 2022 წლის 24 თებერვლის შემდგომ ვერ ახერხებენ მოქალაქეობის ქვეყანაში და/ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას, ამასთან, განთავსებული არიან სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ დაფინანსებულ სასტუმროებში და მოითხოვენ საქართველოს მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებულ დახმარებას; და 2) იმ პირებისთვის, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ 2022 წლის 15 ივლისის შემდგომ და საომარი მოქმედებების გამო ვერ ახერხებენ უკან დაბრუნებას. ამ შემთხვევაში მათ განესაზღვრებათ თვიური ფინანსური დახმარება, 300 ლარის ოდენობით, ოჯახზე, და დამატებით 45 ლარი პირზე. პროგრამის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის აგვისტო.

72 Jam News. 2022. „უკრაინიდან რუსეთის გავლით – უკრაინელი ლტოლვილების ბედი საქართველოში“, 2022. https://jam-news.net/ge/ukrainidan-rusetis-gavlit-ukraineli-ltolvilebis-bedi-saqartveloshi/?fbclid=IwAR2W33Kof26N3H73uAtHfSgHI8W6tXymJJVmTHh1XQnizQWIp9K57gNX1Vs

73 CARE Caucasus w. 2023. „CARE Rapid Gender Analysis: Ukrainian Refugees in Georgia“. https://care-caucasus.org.ge/uploads/Rapid_Gender_Assessment_Final_07.06.2023.pdf

74 UNHCR Georgia / World Vision Georgia. 2022. „UKRAINIAN REFUGEES in GEORGIA PROFILE, INTENTIONS and NEEDS“. https://www.wvi.org/sites/default/files/2022-12/Ukrainian%20Refugees%20in%20Georgia%20Assessment%20Report%20November%202022.pdf

75 საქართველოს მთავრობის განკარგულება N1254, https://www.moh.gov.ge/ka/publicinformation/list/116/?year=2022

5.3. საცხოვრებელი პირობები

უკრაინელების ერთ-ერთი მთავარი საჭიროება ხელმისაწვდომი საცხოვრებელი პირობებია. საქართველოში ჩამოსულ უკრაინელებს პირველ თვეებში სასტუმროებში ათავსებდნენ, რისთვისაც თანხას სახელმწიფო იხდიდა. რიგ შემთხვევებში, მათ საცხოვრისით უზრუნველყოფდნენ კერძო სექტორი, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები. თუმცა არ არსებობს ერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც კოორდინირებას გაუწევდა თავშესაფრებში გადანაწილების პროცესს.

2022 წლის 1-ელ აგვისტოს საქართველოს მთავრობამ უკრაინელი ლტოლვილების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა დახურა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის ივნისის მდგომარეობით მოწყვლადი კატეგორიისთვის მოქმედებს დროებით თავშესაფარში განთავსების ათდღიანი პროგრამა.

საქართველოში უკრაინელების დიდი ნაწილი ვერ პოულობს საცხოვრებელ ადგილს ხელმისაწვდომ ფასად. გამოკითხულთა 56% აღნიშნავდა, რომ ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში, ხოლო 45% ამბობდა, რომ, ფინანსური სირთულეებიდან გამომდინარე, არ იციან, რამდენ ხანს შეძლებენ არსებულ საცხოვრებელში დარჩენას[76].

TDI-ს მიერ გამოკითხული უკრაინელები აღნიშნავენ, რომ ჰქონდათ შემთხვევები, როდესაც გამქირავებლები, შეთანხმების მიუხედავად, მოულოდნელად ზრდიდნენ ქირის ოდენობას, და ისინი იძულებულები იყვნენ, ოჯახიანად ბინა დაეტოვებინათ. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც პოტენციურმა გამქირავებლებმა ბინის მიქირავებაზე უარი უთხრეს.

5.4. ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR)-სა და World Vision საქართველოს მიერ გამოკითხულ უკრაინელ რესპონდენტთა 24%-ს ოჯახში ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი, ხოლო 21%-ის ოჯახის ერთ წევრს აქვს ქრონიკული დაავადება.[77]

სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე წვდომა უკრაინელების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. რესპონდენტთა 26%-მა აღნიშნა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჰქონდათ პრობლემები სამედიცინო მომსახურების მიღების თვალსაზრისით. ამის ძირითად მიზე-

76 UNHCR Georgia / World Vision Georgia. 2022. „UKRAINIAN REFUGEES in GEORGIA PROFILE, INTENTIONS and NEEDS“. https://www.wvi.org/sites/default/files/2022-12/Ukrainian%20Refugees%20in%20Georgia%20Assessment%20Report%20November%202022.pdf

77 UNHCR Georgia / World Vision Georgia. 2022. „UKRAINIAN REFUGEES in GEORGIA PROFILE, INTENTIONS and NEEDS“. https://www.wvi.org/sites/default/files/2022-12/Ukrainian%20Refugees%20in%20Georgia%20Assessment%20Report%20November%202022.pdf

ზად ფინანსური სირთულეები დასახელდა; 27% კი წამალს ვერ ყიდულობდა, ნახევარზე მეტი არ ფლობდა ინფორმაციას ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

5.5. ბავშვებისა და ქალების სპეციფიკური საჭიროებები

Care Caucasus-ს კვლევის თანახმად[78], უკრაინელი მოსწავლეები სკოლაში დიფერენცირებულ მოპყრობას აწყდებიან. უკრაინელი ბავშვები ნაკლებად მონაწილეობენ კლასგარეშე აქტივობებში ფინანსური რესურსების არქონის ან ენის ბარიერის გამო. ზოგიერთი უკრაინელი მოსწავლე იყო ბულინგის მსხვერპლი. ასევე გამოვლინდა სექსუალური შევიწროების შემთხვევა ერთ-ერთ დიდ ქალაქში.

Care Caucasus-ს თანახმად, თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალების ნაწილი არის სექსუალური შევიწროებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. გამოკითხული უკრაინელი ქალების ნაწილმა აღნიშნა, რომ საქართველოში სექსუალური შევიწროების შემთხვევები იყო ტაქსიში, ასევე, მათ ზოგჯერ სთავაზობდნენ თავშესაფარს ინტიმური ურთიერთობების სანაცვლოდ.

78 CARE Caucasus w. 2023. „CARE Rapid Gender Analysis: Ukrainian Refugees in Georgia". https://care-caucasus.org.ge/uploads/Rapid_Gender_Assessment_Final_07.06.2023.pdf

6. რასობრივი დისკრიმინაცია

6.1. რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა

რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესწავლის მიზნით TDI-მ, ერთი მხრივ, გააანალიზა საჯარო წყაროებით გამოქვეყნებული მონაცემები, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვის პასუხად მიღებული წერილები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში საქართველოს სსკ-ის 142-ე და სსკ-ის 142[1] მუხლების (რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები) საფუძველზე გამოძიება არ დაწყებულა. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, სსკ-ის 142-ე და 142[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით 2022 წელს სასამართლოში არცერთი საქმე არ შესულა და არც განხილვაში ყოფილა. რაც შეეხება სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ეროვნული, ეთნიკური ან/და რასობრივი მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათთან დაკავშირებულ საქმეებზე 2022 წლის განმავლობაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ, სულ, გამოტანილ იქნა 5 გამამტყუნებელი განაჩენი.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის 2022 წლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სულ 56 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც რასობრივი დისკრიმინაციის ნიშანი იკვეთებოდა.[79, 80]

ამ სტატისტიკის მიზნებისათვის „რასის“ ცნებაში მოაზრებულია: „რასა“, კანის ფერი, ენა, მოქალაქეობა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება, წარმოშობა[81], რაც გამორიცხავს იმის ზუსტი აღ-

79 მათგან 50 ეხებოდა მხოლოდ რასის ნიშნით დისკრიმინაციას, 5 – რასას გენდერულ ნიშანთან ერთობლიობაში და 1 – რასას რელიგიასთან ერთობლიობაში.

80 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2022. „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“. https://www.geostat.ge/media/51737/diskriminacia_2022.pdf გვ. 4.

81 იქვე, გვ. 4

რიცხვის შესაძლებლობას, დანაშაული ჩადენილ იქნა კანის ფერის სიძულვილის მოტივით თუ, მაგალითად, საქართველოში ისტორიულად მოსახლე ეთნიკური ჯგუფის მიმართ ქსენოფობიური მოტივით. ამ თვალსაზრისით, მოტანილი სტატისტიკა ხარვეზიანია და დახვეწას საჭიროებს.

რაც შეეხება საქართველოს პროკურატურის მონაცემებს, 2022 წლის განმავლობაში პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო რასობრივი შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 14 ფაქტზე, გარდა ამისა, განრიდების მექანიზმი გამოიყენა 1 შემთხვევაში, ასევე 1 საქმეზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, ამ კატეგორიის დანაშაულებზე დაზარალებულად, სულ, ცნობილი იქნა 18 პირი.[82] აღსანიშნავია ისიც, რომ რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების გამო საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული იქნა 7 პირი (რომელთაგან 5 საქმეზე გამოძიება საანგარიშო პერიოდში დაიწყო).[83]

6.2. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით კვლავაც პრობლემად დარჩა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. როგორც ცნობილია, 2018 წლის 30 სექტემბერს მოკლეს საქართველოს მოქალაქე, 25 წლის უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი. კონფლიქტი თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ერთ-ერთ ბარში დაიწყო. ვიტალი საფაროვი ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.

საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების მიხედვით, მკვლელობის ჩადენაში იკვეთებოდა ორი პირის მონაწილეობა, თავდამსხმელების აშკარად ანტისემიტური და ქსენოფობიური ენა კი მიუთითებდა დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე. ამასთანავე, ცხადი იყო მოძალადეების კავშირი ნეონაცისტურ ჯგუფებთან.[84]

მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 22 ივნისის განაჩენით ბრალდებულებს მკვლელობის მოტივად მოუხსნა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა, ბრალდებულები მხოლოდ ჯგუფურ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ და 15-15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში ყველა მხარემ გაასაჩივრა. ბრალდების მხარე და ვიტალი საფაროვის ოჯახი მოითხოვდნენ, ქმედება დაკვალიფიცირებულიყო, როგორც განზრახ, ჯგუფურად მომხდარი დანაშაული, რომელიც სწორედ ეთნიკური/რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე მოხდა.[85]

82 იქვე, გვ. 7
83 იქვე, გვ. 16
84 Humanrigts.ge. 2019. „უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება“. http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19945&lang=geo
85 რადიო თავისუფლება. 2023. „ვიტალი საფაროვის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უცვლელად დატოვა – წინ უზენაესის სიტყვაა“. http://bit.ly/3Z2YheK

2023 წლის 16 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამართულ ბოლო პროცეს-ზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში გრძელდება.

6.3. რასობრივი დისკრიმინაციის სხვა შემთხვევები

გარდა რასობრივი დისკრიმინაციის ისეთი შემთხვევებისა, რომლებსაც დანაშაულებრივი ხასიათი აქვს, კვლავ პრობლემურია ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ რასიზმი საჯარო და კერძო ურთიერთობებში. საანგარიშო პერიოდში TDI-მ ჩაატარა შეხვედრები და ინტერვიუები აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენელ მიგრანტებთან[86], რომელთა შორის უმეტესობა საქართველოში დროებით, სასწავლო მიზნით იმყოფება. გარდა სახელმწიფო სერვისების მიღებისას შექმნილი დაბრკოლებებისა (საზღვარზე შემოშვება, ბინადრობის ნებართვის მიღება), ისინი საუბრობენ დისკრიმინაციულ გამოცდილებებზე საჯარო სივრცეებში, ბინის დაქირავებისას შექმნილ წინააღმდეგობებზე, განსხვავებულ მოპყრობაზე კომერციულ ბანკებში და სხვა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში გამოკითხული მიგრანტების 43% აცხადებს, რომ ანტიპათიური, დისკრიმინაციული ან მტრული მოპყრობის ობიექტი გამხდარა კოვიდპანდემიამდეც და პანდემიის განმავლობაშიც.[87]

საცხოვრებლის პოვნის სირთულეები

აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელი სტუდენტების თქმით, ისინი კანის ფერის/წარმოშობის ქვეყნის გამო, დისკრიმინაციულ მოპყრობას აწყდებიან საცხოვრისის დაქირავებისას. სამედიცინო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ამბობს, რომ ბინის გაქირავების ზოგიერთ ვებგვერდზე ბინის მეპატრონეები ღიად წერენ, რომ ინდოელმა და აფრიკელმა სტუდენტებმა არ დაურეკონ.[88]

ეგვიპტელი სტუდენტი მედიასთან საუბარში იხსენებს, რომ ბინის დაქირავების პროცესში უძრავი ქონების აგენტმა უთხრა, რომ მეპატრონეს აინტერესებდა, საიდან იყო ბინის დაქირავების მსურველი. როდესაც სტუდენტმა უთხრა, რომ ეგვიპტელი იყო, აგენტმა მაშინვე სხვა ბინა შესთავაზა და განუმარტა, რომ მეპატრონეს ფერადკანიანებთან პრობლემები ჰქონდა და ის ვერაფერს გააწყობდა.[89]

86 2023 წლის აპრილში TDI-ს მიერ ჩატარებული ფოკუსჯგუფები აფრიკელ და ინდოელ სტუდენტებთან.

87 IOM UN MIGRATION. 2022. „PROVISION of ASSISTANCE to VULNERABLE MIGRANTS in ARMENIA, AZERBAIJAN, and GEORGIA within the FRAMEWORK of IOM'S GLOBAL COVID-19 RESPONSE".
https://georgia.iom.int/sites/g/files/tmzbdl1311/files/documents/COVID-19%20Situation%20Report%20Apr%20-%20Aug%202022%20ARM%20AZER%20GEO.pdf

88 კოკაია, ლანა. 2022. „South Asian Students in Georgia Are Getting More than They Bargained For".
https://www.radiotavisupleba.ge/a/31670416.html

89 იქვე.

TDI-სთან საუბარში აფრიკელი და ინდოელი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვის წინა წლებშიც პრობლემური იყო ბინის დაქირავება, მაგრამ 2022 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა და, შესაბამისად, ბინის ფასებიც საგრძნობლად გაიზარდა, მათთვის ბინის პოვნა და დაქირავება თითქმის შეუძლებელი გახდა.

სტერეოტიპული განწყობები

სტუდენტები ხშირად სტერეოტიპულ დამოკიდებულებას აწყდებიან საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაგალითად, ეგვიპტელი სტუდენტის თქმით, იგი ორჯერ აიძულეს დაეტოვებინა ავტობუსი, რადგან კონტროლიორმა იფიქრა, რომ იგი მგზავრობის საფასურს არ იხდიდა.[90]

სტუდენტების ნაწილი სტერეოტიპულ განწყობებზე საუბრობს საგანმანათლებლო სივრცეებშიც, მაგალითად, უნივერსიტეტში, სადაც არაერთხელ უთქვამთ, რომ ინდოელები „არაჰიგიენურ ადგილებში ცხოვრობენ“.[91] ხშირად ამგვარი დამოკიდებულება ურთიერთობაში ბარიერებს ქმნის.

90 იქვე.
91 იქვე.

რეკომენდაციები

საჯარო უწყებებმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თითოეულ შემთხვევაში უზრუნველყონ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულად და ზუსტად გაცემა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

- უცხოელების საქართველოში შემოშვების თვალსაზრისით გაატაროს არადისკრიმინაციული პოლიტიკა;
- აწარმოოს და გაასაჯაროოს საქართველოს საზღვრის კვეთის დეტალური სტატისტიკა (არშემოშვებული პირების მოქალაქეობისა და არშემოშვების საფუძვლის მითითებით);
- აღმოფხვრას საქართველოში პირთა დაუსაბუთებლად არშემოშვების პრაქტიკა და არშემოშვების თითოეული შემთხვევა დაასაბუთოს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული კონკრეტული საფუძვლით;
- სწრაფად, ეფექტიანად და მიუკერძოებლად გამოიძიოს სავარაუდო რასობრივი/ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი თითოეული დანაშაული.

საქართველოს პროკურატურამ:

- უზრუნველყოს რასობრივი/ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მიმდინარეობაზე სათანადო ზედამხედველობა სწრაფი, ეფექტიანი და ობიექტური გამოძიების წარმართვისთვის;
- სათანადო საფუძვლის არსებობისას დროულად უზრუნველყოს რასობრივი/ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება;
- სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას გამოკვეთოს სავარაუდო რასობრივი/ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივი, მათ შორის, ბრალის წაყენების დადგენილებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურამ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისას, სადაც „რასის“ ცნებაში მოაზრებულია: „რასა“, კანის ფერი, ენა, მოქალაქეობა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება, წარმოშო-

ბა, თითოეულ ამ ნიშანზე ცალ-ცალკე შეაგროვონ მონაცემები და ამგვარად ასახონ სტატისტიკის ერთიან წლიურ ანგარიშში.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ:

- უცხო ქვეყნების წარმომადგენლებისთვის ბინადრობის ნებართვის მიცემის საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყოს ბინადრობის ნებართვის მიცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება;
- თითოეული საქმის გადაწყვეტისას დაასაბუთოს კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება;
- ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ დაუშვას დისკრიმინაცია რასობრივი/ეროვნული ან სხვა ნიშნით;
- ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ თითოეულ საქმეში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნის არსებობის მიუხედავად, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სათანადოდ გამოიკვლიოს ბინადრობის ნებართვის მაძიებლის კერძო ინტერესი, იმსჯელოს კერძო და საჯარო ინტერესების კონკურენციის საკითხზე და დაასაბუთოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ერთ-ერთის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საქმეებში გაითვალისწინოს ოჯახის ერთიანობის პრინციპი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ელექტრონული ვიზების გაცემის სერვისი ხელმისაწვდომი გახადოს ისეთი ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომელთაც საქართველოში სწავლისა თუ სხვა საქმიანობის გამო ხშირად უხდებათ საქართველოს ვიზის აღება.